საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №43/ნ

2026 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

„ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 4 ივნისის № 28/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 4 ივნისის № 28/ნ ბრძანებაში (http://www.matsne.gov.ge, 05/06/2025, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.018663) და ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-3 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის საკითხებზე, მათ შორის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთან, პროფესიულ სტუდენტთან და მსმენელთან მიმართებით.“;

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი